1პეტ 4,7-13; ფს 95; მარ 11,11-26

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს ეკლესიის დღესასწ.

იდიდებოდეს ღმერთი ყველაფერში 1პეტ 4,11

წმიდა პეტრე ჩვენ, ქრისტიანებსაც მოგვიწოდებს, მონდომებით და სიყვარულით მოვეკიდოთ ყოველდღიურ საქმიანობას, ქრისტესთან ერთობაში: ამგვარად, მისი დახმარებით, სიტყვითა და საქმით განვადიდებთ ღმერთს, ჩვენს მამას.

2 ᲘᲮᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. VIII კვირა [IV] მწ
წმ. მარცელინე და პეტრე წამებ. †304; ღირსნი ზაბულონი და სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.)

2012 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

იუდ 17.20-25; ფს 62; მარ 11,27-33

ილოცეთ სულიწმიდაში იუდ 20

ამგვარად გვმოძღვრავს მოციქული წმიდა იუდა. რას ნიშნავს სულიწმიდაში ლოცვა? შეიძლება ვილოცოთ მხოლოდ ხორციელ საჭიროებებით დაინტერესებულებმა, შეშფოთებულებმა, ან სულაც იმედწართმეულებმა. სულიწმიდაში მაშინ ვლოცულობთ, როცა ხოტბას ვასხამთ მამას და თავს ვუძღვნით, რათა ვიცხოვროთ, როგორც მას სურს; სულიწმიდაში ვლოცულობთ, როცა ის გვსურს, რაც მას სურს, ჩვენს ტანჯვას ვწირავთ მას, როცა ჩვენთვის და სხვათათვის შენდობის თხოვნით ვეალით მის სასუფეველს.

3 იჭნისი

ყოვლადწმიდა სამება, «ბ» [ს] თ

2012 ჯიდან

მსაჯ 4,32-34.39-40; ფს 32; რომ 8,14-17; მთ28,16-20

წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი მთ 28,19

სწორედ ეს სურს ყველაზე მეტად მკვდრეთით აღმდგარ იესოს: რომ ნებისმიერი აღმსარებლობის ყველა ხალხმა შეძლოს მისი გაცნობა და მის ღვთაებრივ სიცოცხლეს ზიარება. იესოს მოწაფეობა ნიშნავს თანაზიარებაში ყოფნას მასთან, მამასთან, ვინც ის მოავლინა, და სულიწმიდასთან, რომელიც მათ სიყვარულზე დაფუძნებულ ოჯახად აერთიანებს. მთელ სამყაროს მოიცავდა სიხარული, ყველა ხალხი რომ ამ ოჯახის ნაწილს შეადგენდეს!

4 იჭნისი

რიგ. ჟ. IX კვირა [I] მწ

2012 ოჩჟანანში

2პეტ I,I-7; ფს 90; მარ I2,I-I2

მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ 2პეტ I,2

ამ კურთხევით ასრულებს წმიდა პავლე თავის მრავალ წერილს. ამ გამოთქმას წმიდა პეტრეც იყენებს და ამგვარად მოწმობს, რომ ის მიღებული იყო ეკლესიაში. მადლი ღმერთის უანგარო სიყვარულია, რომელიც, თუ მას ადამიანი მიიღებს და აამოქმედებს, ჩვენს გარშემო მშვიდობას წარმოქმნის და განავრცობს. დაე, ეს შენი დღე მადლით იქნას აღვსილი და მშვიდობის მუშაკად იქცევი.

5 ᲘᲔᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. IX კვირა [I] მწ

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., †754 (მ)

2012 ᲡᲐᲭᲘᲗᲐᲛᲘ

2პეტ 3,12-15.17-18; ფს 89; მარ 12,13-17

უკვირდათ მისი მარ 12,17

იესო, შენი სიბრძნე და სიყვარული იმათთვისაც კი, ვინც ავი ზრახვებით მოდის შენთან, ჩვენთვის სიხარულის წყაროა და სტიმული იმისა, რომ შენგან ვისწავლოთ ცხოვრება. რაოდენ კეთილი ხარ, უფალო!

6 იჭნისი

რიგ. ჟ. IX კვირა [I] მწ

წმ. ნორბერტი, ეპისკოპოსი

2012 ოთხშაბათი

2ტიმ I,I-3.6-I2; ფს I22; მარ I2,I8-27

ღმერთი მკვდრებისა კი არაა, არამედ ცოცხლებისა მარ I2,27

ზოგი ამტკიცებს, რომ მკვდრეთით აღდგომა არ არსებობს. სხვები რეინკარნაციას წარმოიდგენენ საკუთარი თავისგან განწმედად და ამგვარად ცდილობენ სიკვდილის რეალობის უარყოფას. ჩვენ იესოსთან ერთად გვწამს, რომ ღმერთმა მოგვცა სიცოცხლე, რომელიც მის გულში არსებობას განაგრძობს: სხეულის სიკვდილს მისი განადგურება არ ძალუძს. თავად ღმერთი ვერაც აბრაამის ღმერთად იწოდება, თუმცა აბრაამი ცოცხალი აღარ არის. ამის მიუხედავად, ღმერთისთვის ის მუდამ არსებობს.

7

2012

ᲘᲔᲜᲘᲡᲘ

ქრისტეს უწმიდესი ხორცისა და სისხლის (დდ), «ბ» [ს] თ

ცალკეულ საძრევლოებში შეიძლება აღინიშნოს მომდევნო კვირადღეს

ᲮᲣᲗᲔᲨᲐᲑᲐᲗᲘ

გამ 24,3-8; ფს 115; ებრ 9,11-15; მარ 14,12-16.22-26

ეს არის ჩემი სისხლი, მრავალთათვის დაღვრილი მარ 14,24

იმდენად მივეჩვიეთ ამ ფრაზას, რომ აღარ ვუფიქრდებით მის ღირებულებას. რას ნიშნავს ის იესოსთვის, ვინც ის წარმოთქვა? მოციქულთათვის, რომლებმაც ის პირველად მოისმინეს? იესოს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მსხვერპლი და სურდა შეეწირა სიცოცხლე სიყვარულის ქმედებად, რომელიც მრავალს იხსნის, ყველას იხსნის, ვინც უერთდება მისიანებს, რათა იესო უყვარდეს. მოციქულთათვის ამ ფრაზის მოსმენა დაუჯერებელი მოულოდნელობა იყო. ჩემთვის კი ის სიყვარულის ძღვენად გარდაქმნის სურვილს ნიშნავს.

8 იჭნისი

რიგ. ჟ. IX კვირა [I] მწ

2012 ჯანმასძეჭი

2ტიმ 3,10-16; ფს 118; მარ 12,35-37

მრავალი ხალხი უსმენდა მას მოწადინებით მარ 12,37

იესო, შენ ზრუნავ მათზე, ვინც მცირედ არის განსწავლული წმიდა წერილში, რათა გაანათლო ისინი და შეასწორო მცდარი განმარტებები, რომელთაც რჯულის მოძღვარნი იძლევიან. გმადლობთ, იესო! კმაყოფილნი ვართ შენით და შენი ეკლესიით, რომელიც გვიცავს ნაწილობრივი ან მცდარი განმარტებებისგან.

რიგ. ჟ. IX კვირა [I] მწ
წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მძღ. ⱦ373; (27.V) წმ. ღირ.
ბასილ ბაგრატ III-ის ძე; წმ. ღირ. მიქელ პარეხელი

2ტიმ 4,1-8; ფს 70; მარ 12,38-44

განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე 2ტიმ 4,7

იესოსთან შეხვედრის შემდეგ წმიდა პავლე მის ერთგულ მიმდევრად იქცა და დიდი სიყვარულით ბაძავდა მას. თავისი არსებობის დასასრულს, რომელსაც ასპარეზს ადარებს, მშვიდობითაა, იმ რწმენის წყალობით, რომელიც მუდამ უძღოდა და ეხმარებოდა.

დაბ 3,9-15; ფს 129; 2კორ 4,15-5,1; მარ 3,20-35

ვინც ჩემი მამის ნებას ასრულებს...

მარ 3,35

დემონთა მთავარს, ბელზებულს მიაწერო იესოს ხელით აღსრულებული სულიწმიდის ნამოქმედარი, ნიშნავს კარი მიუკეტო ღვთიურ მოტევებას, უარი თქვა ბოროტისაგან გამოხსნის ყოველ საშუალებაზე. იესოს გაოგნებული ნათესაობა ცდილობს მის „ჭკუაზე მოყვანას“. მოწაფენი კი ამოიცნობენ მასში მამის სიბრძნეს და ამ რწმენას ისინი შეჰყავს — ძესთან ერთად და მის მიერ — ღმერთის ოჯახში.

11 იჭნისი

რიგ. ჟ. X კვირა [II] მწ

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ)

2012 ოჩჯანაში

3მეფ 17,1-6; ფს 120; მთ 5,1-12

დაინახა ხალხი და ავიდა მთაზე მთ 5,1

აღტაცებით გიმზერ, იესო, როცა მარტო ხარ შენს მოწაფეებთან და ასწავლი მათ, რათა შენი გულისამებრ ცხოვრებით ისინი შენსავით იქცნენ სინათლედ ყველა ადამიანისთვის. მსურს შენთან ვიყო, რათა ვისწავლო ჭეშმარიტი ცხოვრება და მივიღო სულიწმიდა.

რიგ. ჟ. X კვირა [II] მწ

წმ. გასპარე ბერტონი,
სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი

3მეფ 17,7-16; ფს 4; მთ 5,13-16

ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე მთ 5,16

ჩვენ, ვისაც გვაქვს იესოს რწმენის ნიჭი, ვიღებთ დღეს მის შეგონებას, ვიცხოვროთ მისი სიტყვის თანახმად: ამგვარად ჩვენი სიცოცხლე იქცევა სინათლედ, მშვიდობად და შეწევნად ყველასათვის.

3მეფ 18,20-39; ფს 15; მთ 5,17-19

მე კი შენი მსახური ვარ 3მეფ 18,36

როგორ ამოვიცნოთ ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა? რა თქმა უნდა, საქმეებით, რომელთაც ეს რწმენა ადამიანს აკეთებინებს! როცა რწმენის მეშვეობით ყველას მიმართ გულმოწყალებას ვავლენ, ვამტკიცებ, რომ ჭეშმარიტი ღმერთი მწამს და სხვებსაც ვეხმარები, ირწმუნონ ის. მშვენიერია ემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს, რომელიც არის მამა, რომელიც არის სიყვარული.

14 იჭნისი

რიგ. ჟ. X კვირა [II] მწ

2012 ხუთშაბათი

3მეფ 18,41-46; ფს 64; მთ 5,20-26

დატოვე იქ შენი ძღვენი და წადი, შეურიგდი მთ 5,26

გმადლობ, იესო, რომ გსურს, გამოვამყოავნო შენდამი სიყვარული ჯერ იმ ჩემი მოძმის შეყვარებით, რომელსაც ჩემს მიმართ აქვს ჩივილის მიზეზი. შენ გსურს, დავეხმა-რო მას წყლულის მოშუშებაში, რომელიც ჩემს გამო აწუხებს.

15 ᲘᲔᲮᲜᲘᲡᲘ

იესოს ღმრთაებრივი გული (დდ),
«ბ» [ს] თ

2012 ᲯᲣᲛᲣᲡᲫᲔᲮᲘ

ოსII,I.3-4.8-9; ფს:ესI2,2-6; ეფ3,8-I2.I4-I9; იოI9,3I-37
ნიზაბავრის (ასპინძა) ეკლესიის დღეობა

მოგანიჭოთ განმტკიცება თავისი სულით ეფ 3,16

იესოს გული მშვიდობის, გულმოწყალების, ერთგულების, სიწმინდის ყოველი ნიჭის საუნჯეა. ვილოცოთ, რომ მან ჩვენ და ჩვენს ახლობლებსაც გადმოგვცეს ეს ნიჭები. მადლიერნი ვართ მათი, ვინც ამას შესთხოვენ მას ჩვენთვისაც.

16 იჯნისი

რიგ. ჟ. X კვირა [II] მწ

ყოვლადწმ. მარიამის უმანკო გული (მ)

2012 ჯანვარი

3მეფ 19,19-21; ფს 15; მთ 5,33-37(ან.: ეს 61,10-11; ფს: 1მეფ 2; ლკ 2,41-51)

რაც ამაზე მეტია, ის ბოროტისგანაა მთ 5,37

გმადლობთ, იესო, რომ მოგვიწოდებ მარტივი და არსებითი საუბრისკენ, ზედმეტი სიტყვების გარეშე. ასე საუბრობდი შენ, ჩვენი ერთადერთი მოძღვარი. გმადლობთ, რომ გვიხსნი ეშმაკის მზაკვრობისაგან, ვინც წარმტაც სიტყვებს და ფრაზებს იშველიებს ჩვენს დასაბნევად და ჭეშმარიტებისგან ჩვენს დასაშორებლად.

ეზეკ. 17,22-24; ფს 91; 2კორ 5,6-10; მარ 4,26-34

ღვთის სასუფეველი მდოგვის მარცვალსა ჰგავს მარ 4,31

მდოგვის მარცვალი ბოსტანში იკარგება. დათესვის შემდეგ მას ველარ იპოვი. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხედავ მიწიდან ამოწვერილ მცენარეს, რომელიც ნელა იზრდება. ასეა ღვთის სასუფეველიც: ის უხილავია, მაგრამ იქცევა სიყვარულის, სოლიდარობის, თანაზიარების მცირე წამოწყებებად... და მრავალ ადამიანს ანიჭებს ნუგეშს და იმედს. გაუღე იესოს გული და შენც იქცევი მარცვალად, თესლად ღვთის სასუფეველში!

18 იჳნისი

რიგ. ყ. XI კვირა [III] მწ

2012 ოჩჯანდი

3მეფ 21,1-16; ფს 5; მთ 5,38-42

სამოსელიც თან გაატანე მას მთ 5,40

გმადლობ, იესო, რომ მეხმარები ამქვეყნიურ საქმეებს გავერიდო, ვიყო ლბილი და დამყოლი, სიყვარულით. შენ მოგენდობი, მსურს დაგემორჩილო, რადგანაც ვიცი, რომ გიყვარვარ და დამეხმარები იმის განხორციელებაში, რასაც ჩემგან ითხოვ.

19 ივნისი

რიგ. ყ. XI კვირა [III] მწ

წმ. რომუალდ, აბატი † 1027

2012 სუბბოტა

3მეფ 21,17-29; ფს 50; მთ5,43-48

იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი მთ 5,48

გმადლობთ, იესო, რომ გვეხმარები, ვუმზირით ზეციერ მამას და მივბაძოთ მას, შენი მაგალითისამებრ. შენში ვიპოვით ნათელსა და ძალას წმიდად ცხოვრებისთვის.

20 იჭნისი

რიგ. ჟ. XI კვირა [III] მწ

2012 ოთხშაბათი

4მეფ 2,1.6-14; ფს 30; მთ 6,1-6.16-18

შენ კი, როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში მთ 6,6

გმადლობ, იესო, რომ მასწავლი ისე ლოცვას, რო-გორც შენ ლოცულობდი: გულის სიღრმეში, არა სხვების დასანახად, მთლიანად მიმართული ზეციერი მამისადმი, რომელსაც ასე ვუყვარვართ და ვინც ყოვე-ლი სიკეთის წყაროა.

21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. XI კვირა [III] მწ

წმ. ალოიზი გონზაგა, ბერი, †1591 (მ)

2012 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

სირ. 48,1-14; ფს 96; მთ 6,7-15

მოვიდეს სუფევა შენი მთ 6,10

ლოცვა, რომელსაც იესო ყოველდღიურად გვიდებს გულებში, მასში დიდ სურვილს აღძრავს: ღვთის სასუფევლის ხილვის სურვილს. ღვთის სასუფევლის ხილვა ნიშნავს იესოს, ხელმწიფის ხილვას მოქმედებაში; ნიშნავს ინილო, როგორ უძღვება ის ადამიანებს და უნაწილებს მათ სიყვარულის დავალებებს. თუ ასე ვლოცულობ, ეს ნიშნავს, მზად ვარ იმისათვის, რომ იესომ სიყვარულის მსახურება მომანდოს!

22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

2012

რიგ. ყ. XI კვირა [III] მწ
წმ. პავლინ ნოლადან, †431; წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ. †1535

ᲯᲣᲠᲣᲡᲫᲔᲕᲘ

4მეფ 11,1-4.9-18.20; ფს 131; მთ 6,19-23

დაიუნჯეთ ცაში მთ 6,20

იესოს ეს შეგონება დიდი ნიჭია, რომელიც მადლიერებით უნდა მივიღოთ. ყოველი საქველმოქმედო და გულმოწყალე საქმიანობა, სიყვარულის ყოველი გამოხატულება არის ზეცაში საიმედოდ დაბინავებული განძი და უკვე აქ, დედამიწაზე წარმოქმნის მშვიდობას და აღძრავს სიხარულს გულში. გმადლობ, იესო!

23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგ. კ. XI კვირა [III] მწ

2012 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

2ნეშტ. 24,17-25; ფს 88; მთ 6,24-34

ნუ ზრუნავთ ხვალინდელ დღეზე მთ 6,33

გვყავს კეთილი და დიადი მამა, რომელიც ჩვენზე ზრუნავს. ჩვენ მივენდობით მას, როგორც პატარა ბავშვები ენდობიან დედას და მამას! ჩვენ მას სიხარულს ვანიჭებთ მისი ძის, იესოსადმი, მორჩილებით.

ეს 49,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა ლკ 1,80

სიდიადე პატარა ბავშვისთვისაც მისაწვდომია: მას რაი-მე დიადის ჩადენა კი არ ძალუძს, არამედ თავის თავში შეუძლია ატაროს ღვთის საქმეები — დიადი საქმეე-ბი. ბავშვები მშობლებს ბაძავენ: როცა მათში იესო-სადმი სიყვარულს ხედავენ, ითავისებენ ამ სიყვარულს, განმტკიცდებიან რწმენაში და ქრისტიანული ცხოვრების უნარს იძენენ.

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. XII კვირა [IV] მწ

(12.VI) წმ. იოანე თორნიკე

2012 ᲛᲐᲡᲘᲜᲐ

4მეფ 17,5-8.13-15.18; ფს 59; მთ7,1-5

შენი თვალიდან დირე ამოიღე მთ7,5

იესო, მადლობას გიხდი დარიგებისა და გაფრთხილებისთვის, რომ ადამიანთა განსჯა მხოლოდ შენ ძალგიძს. შენ იმასაც მასწავლი, რომ სანამ სხვების ნაკლს მივაქცევ ყურადღებას, ჯერ ჩემი,—უფრო დიდი,—ნაკლოვანებები უნდა გავაცნობიერო, და რომ უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის გამოსწორებაზე უნდა ვიფიქრო!

26 ᲘᲔᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. XII კვირა [IV] მწ

წმ. იოსებ მარია ესკრიბა

2012 ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

4მეფ 19,9ბ-11.14-21.31-35ა.36; ფს 47; მთ 7,6.12-14

ვიწროა სიცოცხლის გზა მთ 7,14

უფალო, ღმერთო ჩვენო, არც ერთი შენსკენ სავალი გზა არაა არც განიერი და არც მოსახერხებელი, არა-მედ — ვიწრო და ძნელად სავალი. დაგვეხმარე, რათა უფრო მოსახერხებელ გზებს მუდამ ვარჩიოთ ის გზე-ბი, რომლებიც, მართალია ძალისხმევას ითხოვენ ჩვენ-გან, სამაგიეროდ კი ნამდვილად შენთან მოგვიყვანენ, შენთან, როელიცა ხარ ჩვენი სიცოცხლე სამუდამოდ

27

2012

იჳნისი

რიგ. კ. XII კვირა [IV] მწ

წმ. კირილე ალექსანდრიელი,
ეპ. და ეკლ. მოძ. †444

ოთხშაბათი

4მეფ 22,8-13; 23,1-3; ფს 118; მთ7,15-20

მათი ნაყოფით იცნობთ მათ მთ 7,16

მცენარეთა ამოცნობა ადვილია... უფრო რთული, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ადამიანთა ცნობაა! ეს ძალიან მზრუნველი და თავაზიანი ადამიანი სიმართლეს მეუბნება? მის თავაზიანობას უნდა ვენდო? არა. თუ მისი სიტყვები არ არის იესოს სიტყვები და არ ეთანხმება მას, თავს არ მოვატყუებინებ: კრავის ტყავში გადაცმული მგელი მხოლოდ ზღაპრებში როდი გვხვდება!

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რიგ. კ. XII კვირა [IV] მწ

წმ. ირენეოსი, ეპ. და წამ. †~202 (მ).

2012 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

4მეფ 24,8-17; ფს 78; მთ 7,21-29

ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით მთ 7,28

როცა ადამიანი პირდაპირ, შეულამაზებელ, უბრალო ჭეშმარიტებას აცხადებს, მსმენელებს უკვირთ. რატომ? იმდენად მივეჩვიეთ ტყუილს და ფუჭ სიტყვებს, რომ გაკვირვებულნი და განცვიფრებულნი ვრჩებით ხოლმე, როცა ვინმე კვლავ ჩვენი შემოქმედის სიბრძნესთან გვაბრუნებს. ამას იესო აკეთებს. შენც მოუსმინე მას!

29

2012

იანვარი

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულნი (დდ) ს, წ.

ჯანმრთელობის

დღისით: საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრე და პავლეს ეკლესიის დღესასწაული.

შესაწირავი პაპისათვის

შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა მთ 16,16

გალილეველი მეთევზე სიმონი იმ დღიდან პეტრედ იწოდება: პეტრემ ირწმუნა, რომ იესო ღმერთის მიერ კაცთა გასაძღოლად მოვლენილი ადამიანია და ამ რწმენას ის საჯაროდ გამოხატავს. ამგვარად, პეტრე საიმედო საძირკველად იქცევა მასზე შენობის დასაფუძნებლად. ამ რწმენაზე ნელ-ნელა შენდება ეკლესია: მისი ნაგებობის ქვებს შორის ერთ-ერთი მეც ვარ. ეს უხეში, მაგრამ მტკიცე და საიმედო ქვებია!

30

2012

ᲘᲔᲜᲘᲡᲘ

რიგ. ჟ. XII კვირა [IV] მწ

რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი
წმ. შალვა ახალციხელი (†1227წ)

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

გად 2,2.10-14.18-19; ფს 73; მთ 8,5-17

მე მოვალ და განვკურნავ მას მთ 8,7

იესო, ეს არის შენი პასუხი ცენტურიონის რწმენაზე. ეს არის შენი პასუხი ჩემ რწმენაზე, ნდობით აღსავსე ჩემ ლოცვაზე. გმადლობ, უფალო იესო, რომ ისმენ მდაბალი და უბრალო გულების ყოველ თხოვნას და ასრულებ მათ ვედრებას. დღეს გთხოვ, ჩემი გულის ქრონიკული დაავადების — ამპარტავნებისაგან განმკურნო.